შეთანხმების ფურცელი
საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის გასაფორმებელ სასესხო ხელშეკრულების პროექტზე
ბათუმის ურბანული ტრანსპორტის პროექტთან დაკავშირებით
EBRD-ის სესხი
2.5 მლნ ევრო

უწყება	შენიშვნა	კომენტარი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს ეროვნული ბანკი	შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	1. მიგვაჩნია, რომ "სასესხო ხელშეკრულებასა" და "პროექტის მხარდამჭერი ხელშეკრულების" პროექტების ტექსტში "ქალაქ ბათუმის" სტატუსი საჭიროებს დაზუსტებას "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული "ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს" განმარტებიდან გამომდინარე. შესაბამისად უნდა დაკონკრეტდეს ხელშეკრულებების პროექტებით გათვალსიწინებული "ქალაქის" ვალდებულებებზე პასუხისმგებელი ორგანო (საკრებულო ან/და მერია); 2. "სასესხო ხელშეკრულების" პროექტის 1.02 პუნქტის მე-2 აბზაცში მოცემული "მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის" განმარტება საჭიროებს გადამუშავებას რედაქციული თვალსაზრისით. კერძოდ, მართებულია, მითითებული დებულება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: "მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენელია" საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო სტანდარტული პირობების 3.01 "ბ" პუნქტის შესაბამისად სესხის თანხის გამოთხოვის აპლიკაციის წარდგენისას – ქალაქის უფლებამოსილი წარმომადგენელი.	გათვალისწინებულია გათვალისწინებულია

	3. წარმოდგენილ პროექტებთან მიმართებაში კვლავ რელევანტურია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ა/წლის 20 მაისის №01/23/13-4152 წერილში დაფიქსირებული 1."ა", 1."ზ", 2, 3 შენიშვნები. ამასთან, 1."ვ" შენიშვნასთან (პუნქტი 5.02) დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტრო გასცემს სამართვებრივ დასკვნას საკრედიტო ხელშეკრულების პროექტის, ხოლო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ - მისი დადების პროცედურების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე. მსესხებლის მიერ ხელშეკრულების განხორციელების პირობას კი საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ვერ დააფიქსირებს სათანადო კომპეტენციის არქონის გამო.	5.02 პუნქტის მიხედვით, იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული სამართლებრივი დასკვნა უნდა ადასტურებდეს სასესხო ხელშეკრულების და ქალაქის სასესხო ხელშეკრულების მსესხებლისათვის ძალაში ყოფნას და მათ სავალდებულოდ აღიარებას. აღნიშნული არ მიუთითებს იმაზე, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ უნდა დაფიქსირდეს მსესხებლის მიერ მათი განხორციელების პირობა.
	ზემოაღნიშნულ 20 მაისის №01/23/13-4152 წერილში დაფიქსირებული შენიშვნები:	
	1. "ა" წარმოდგენილი პროექტის 2.02 „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად „კრედიტის ფინანსურ პირობებთან" მიმართებით დადგენილია, რომ „ნაკისრი ვალდებულების მოსაკრებლის განაკვეთი წარმოადგენს 0,5%." მიგვაჩნია, რომ მითითებულ დებულებაში „ვალდებულების მოსაკრებლის" ცნება გულისხმობს ბანკის მიერ კონკრეტული მომსახურეობისთვის გადასახდელ საკომისიოს, რამდენადაც წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია თუ რა სახის „მოსაკრებელი" უნდა იქნეს გადახდილი მხარის მიერ, ან კონკრეტულად რა სახის ვალდებულებებისათვის. ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობით ასეთი სახის მოსაკრებელი გათვალისწინებული არ არის და რაიმე სახის მოსაკრებლის არსებობის შესაძლებლობა არც ხელშეკრულების პროექტის სხვა დებულებების ლოგიკური განხილვიდან გამომდინარეობს, მით უფრო, საკრედიტო ვალდებულებათა კონტექსტში. ამდენად, მითითებული პუნქტი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი საქართველოს კანონმდებლობასთან და მოსაკრებლის განაკვეთად წოდებულ 0,5 %-ს ეწოდოს საკომისიო;	ვალდებულების გადასახადი ერიცხება სესხის აუთვისებელ ნაწილს, რომლის განმარტება და დაანგარიშების წესი მოცემულია სტანდარტულ პირობებში. ამასთან, აღნიშნული გადასახადის დაწესება ფართოდ არის გავრცელებული სასესხო ურთიერთობებში.
	1. "ზ" წარმოდგენილი ხელშეკრულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ „პროექტის სხვა მტკიცებით პირობებთან" დაკავშირებით უნდა განიმარტოს, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მითითებული პუნქტის დებულებები ჩამოყალიბებულ იქნას იმგვარად, რომ მსესხებელმა (საქართველომ) ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული სხვა ხელშეკრულებებით სხვა სუბიექტების (მუნიციპალიტეტი, საპროექტო სუბუექტი) ვალდებულებათა	გათვალისწინებულია

	შესრულებაზე პასუხისმგებლობა იკისროს მხოლოდ ამ სუბუექტებზე სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებადი კანონმდებლობით დადგენილი კონტროლის ფარგლებში და შესაბამისად, კი არ ,,უზრუნველყოს" მათ მიერ სხვა ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულება, არამედ ,,კოორდიონაცია გაუწიოს" ან ,,ყველა ღონე იხმაროს იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს" ზოგადად მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება. 2. და 3. შენიშვნები ეხება "პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებას" და "საპროექტო ხელშეკრულებას".	
შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"	შენიშვნები არ გააჩნია	
ბათუმის მერია	შენიშვნები არ გააჩნია	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	შენიშვნები არ გააჩნია	